საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/101

ქ. ბათუმი

29 აპრილი, 2022 წელი

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022 წლის შემოდგომისათვის მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს: 2020 წლის 7 თებერვლის N19, 2020 წლის 31 ივლისის MES 1200000649005 და 2020 წლის 31 ივლისის MES 0200000649004გადაწყვეტილებების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს: 2022 წლის 14 იანვრის MES 5 22 0000020923 და 2022 წლის 14 იანვრის MES 4 22 0000020922 გადაწყვეტილებების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს: 2022 წლის 7 თებერვლის MES 8 22 0000116524 და 2022 წლის 7 თებერვლის MES 2 22 00001165628 გადაწყვეტილებების, „სამოქალაქო განათლების" ზოგადი მოდულის დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 ივნისის №532031 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლო დაწესებულებების პროფესიული პროგრამების პარამეტრებში ცვლილების შეტანის შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 10 მარტის MES 9 22 0000244848 გადაწყვეტილების, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების, ,,2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 31 იანვრის N92471 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" 2022 წლის 5 აპრილის N353012 ბრძანების, "2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლებისა დამეცნიერების მინისტრის 2022 წლის 5 აპრილის N353013 ბრძანების; ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანების (ცვლილება და დამატება - ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 08 ივლისის N01-02/103 ბრძანებით), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 19 აპრილის N 403686 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება წინამდებარე ბრძანების N1 დანართით გათვალისწინებულ ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022 წლის შემოდგომისათვის (სწავლის დაწყების თარიღი - 2022 წლის 8 ნოემბერი).
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა (აპლიკანტთა) რეგისტრაცია განხორციელდეს **2022 წლის 2 მაისიდან 22 აგვისტოს ჩათვლით,** ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - http://vet.emis.ge/ ან/და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერით შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, III სართული, ოთახი N 310 (ცხელი ხაზი: 591 95 76 62).
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'') და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებსა და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022 წლის შემოდგომისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 29 აპრილის N01-02/101 ბრძანების

დანართი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც ცხადდება მიღება 2022 წლის შემოდგომისათვის (სწავლა დაწყება - 2022 წლის 8 ნოემბერი)

	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებში		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით		ადგილების რაოდენობა	ადგილების რაოდენობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის
		ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის		
1	საფინანსო სერვისები (III დონე, მოდულური)	52	67	8	11	30	1
2	ბუღალტრული აღრიცხვა (V დონე, მოდულური)	99	129	22	27	12	1
3	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (III დონე, მოდულური)	64	79	10	13	38	2
4	სატყეო საქმე (IV დონე, მოდულური)	48	78	10	15	20	1
5	მებაღეობა (IV დონე, მოდულური)	85	115	15	20	20	1
6	საბიბლიოთეკო საქმე (IV დონე, მოდულური)	94	124	16	21	20	1
	სულ:					140	7